პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 21 (10107) | ოთხშაბათი, 26 იანვარი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

პარიზის, მთავრობისა და ხალხის უძლეველი ერთიანობა

ჩვენი ხალხი უდიდესი სიხარულის დღეებს — მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის დღეებს განიცდის. სულ უფრო ფართო გაქანებას იღებს მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

მზადება არჩევნებისათვის მიმდინარეობს ისეთ ვითარებაში, რაც ჩვენი საშობლო, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნები, რომელთაც დიდი საბჭოთა კავშირი მეთაურობს, მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვიან ხალხთა შორის მშვიდობისათვის, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხი უდიდესი კმაყოფილებითა და პატრიოტული სიამაყის გრძნობით შეხვდა ცნობას 1954 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ეს შედეგები მკაფიოდ მოწმობენ სოციალისტური ეკონომიკის დიდ ზრდას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ აღმავლობას. განუხრელად ვითარდება მძიმე ინდუსტრია, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძველთა საფუძველია.

უდიდესი ძალით ჩაღდება არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები თავდადებით მუშაობენ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, მეხუთე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად.

დაიწყო საარჩევნო კამპანიის უმნიშვნელოვანესი ეტაპი — საოლქო საარჩევნო კომისიები შეუდგნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციას, რასაც წინ უსწრებდა მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები და საოლქო თათბირები, რომლებიც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების, ახალ ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცნენ.

ერთსულოვნად, უმაგალითო დარაზმულობის ვითარებაში, უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით დასახელეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, ლენინური ტიპის მოღვაწენი, სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის დაუღალავი მებრძოლნი. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, საბჭოთა ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ისინი, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება და სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, ცხადყვეს თავიანთი უნარი და მზადყოფნა განუხრელად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, გულწრფელად ემსახურონ ხალხს.

გუშინ პრესაში გამოქვეყნდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების ნ. ა. ბულგანინის, კ. ე. ვოროშილოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, გ. მ. მალენკოვის, ა. ი. მიქოიანის, ვ. მ. მოლოტოვის, მ. გ. პერვუხინის, პ. ნ. პოსპელოვის, მ. ზ. საბუროვის, მ. ა. სუსლოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. ნ. შატალინის ღია წერილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი. „ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერლებმა, — ნათქვამია ღია წერილში — საქართველოს სსრ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების სხვადასხვა კოლექტივებისაგან, აგრეთვე ამომრჩეველთა წინასაარჩევნო თათბირებისაგან მივიღეთ წერილები და დეპეშები, რომლებითაც გვაცნობებენ, რომ დასახელებული ვართ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში, და გვთხოვენ თანხმობა განვაცხადოთ კენჭი ვიყაროთ ამ ოლქებში.

ჩვენ დიდ მადლობას ვუძღვნით ნდობისათვის ყველა ამხანაგ ამომრჩეველს, რომლებმაც დაგვასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად“.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა თანხმობას კენჭი იყარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე. თვითეული საბჭოთა ადამიანი იზიარებს იმ საარჩევნო ოლქების მშრომელთა სიხარულს, სადაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში გატარებული არიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ნ. შატალინი.

ამ სასიხარულო ცნობამ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით გუშინ თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებიც პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენენ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა პოლიტიკამ, კომუნიზმის მშენებლობის დიადმა მიზანმა მთელი ჩვენი ხალხი გააერთიანა და ერთ ძმურ ოჯახად შეაკავშირა. პარტიის, მთავრობისა და ხალხის მჭიდრო, ურღვევი ერთიანობა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების დაუშრეტელი წყაროა, ჩვენი ქვეყნის ახალ წარმატებათა საწინდარია. საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ყოველდღიურად, განუწყვეტლივ გრძნობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივ ყურადღებასა და მზრუნველობას. ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, რომ საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო ზრდასა და აყვავებას იგი უნდა უმადლოდეს მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობას.

მომავალ არჩევნებში, ისევე როგორც ყველა წარსულ საარჩევნო კამპანიაში, კომუნისტური პარტია გამოდის უპარტიო მუშებთან, კოლმეურნეებთან და ინტელიგენციასთან ერთიანი ბლოკით, ურღვევი კავშირით. კომუნისტებმა და უპარტიოებმა საარჩევნო ოლქებში შეთანხმებულად დასახელეს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატები, და ეს კანდიდატები საერთო არიან როგორც კომუნისტებისათვის, ისე უპარტიოებისათვის. სწორედ ეს არის იმის საწინდარი, რომ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატები უდიდესი ერთსულოვნებით იქნებიან არჩეულნი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად.

საარჩევნო კამპანიის დღეებში მშრომელთა ფართო მასები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. ლენინ—სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი გმირულად შრომობს და იმარჯვებს, მტკიცე რწმენით მიდის წინ დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ახალი მასალა ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყების შესახებ

ლენინგრადი, 22 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალურ არქივში ინახება დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია 1905-1907 წლების რევოლუციურ ამბებთან.

შესწავლილი და დასაბეჭდად მომზადებულია 120-ზე მეტი დოკუმენტი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ გამოვარკვიოთ ჯავშნოსნებზე „პოტიომკინზე“, „გიორგი ძლევამოსილზე“, სასწავლო გემ „პრუტზე“ და № 267 ნაღმოსანზე აჯანყების დაწვრილებითი ცნობები. მაგალითად, მასალებში დაწვრილებით გაშუქებულია ჯავშნოსან „პოტიომკინის“ მატროსების მიერ არჩეული კომისიის საქმიანობა. იგი იყო მომავალი სახომალდო კომიტეტების პირველსახე და ხელისუფლების კოლექტიური ორგანო რევოლუციურ ხომალდზე. კერძოდ, მისი განკარგულებით ჯავშნოსანი რუმინეთში წავიდა. შესწავლილია ფურცლები, რომლებიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სევასტოპოლისა და ნიკოლაევის კომიტეტებმა გამოსცეს და რომლებიც შეეხება აჯანყებას ჯავშნოსან „პოტიომკინზე“.

დოკუმენტების დაწვრილებით გაცნობამ შესაძლებლობა მისცა არქივის თანამშრომლებს დიდი მუშაობა გაეწიათ ცოცხალი პოტიომკინელების მოსაძებნად. ამჟამად ცოცხალია გმირული აჯანყების 80-მდე მონაწილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშა

მის აღმატებულებას გატონ ჯავაჰარლალ ნეჰრუს

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

დელი

ინდოეთის რესპუბლიკის გამოცხადების მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით გთხოვთ თქვენ, პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, და ინდოეთის მთავრობას მიიღოთ საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პირადად ჩემი გულითადი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ბ. მალენკოვი.

1955 წლის 25 იანვარი.

დეპეშა

მის აღმატებულებას გატონ რაჯენდრა პრასადს

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

დელი

ინდოეთის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის გამოცხადების მეხუთე წლისთავის დღეს მიიღეთ, ბატონო პრეზიდენტო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი მოლოცვა, აგრეთვე ვუსურვებთ ინდოეთის ხალხებს ახალ წარმატებებს მათს კეთილშობილურ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება.

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1955 წლის 25 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის მდგომარეობის შეწყვეტის შესახებ

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის შედეგად საბჭოთა კავშირი ომის მდგომარეობაში აღმოჩნდა გერმანიასთან. თავისი თავდადებული ბრძოლით ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების ხალხებთან ერთად საბჭოთა ხალხმა გაანადგურა ჰიტლერელი აგრესორები და გაათავისუფლა ევროპის ხალხები, მათ შორის გერმანელი ხალხიც, ფაშისტური დამონებისაგან. პოტსდამის 1945 წლის კონფერენციაზე განისაზღვრა გერმანიის, როგორც ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს შემდგომი განვითარების გზები და დადასტურდა, რომ საჭირო იყო გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არანორმალურად მიაჩნია, რომ, თუმცა გერმანიასთან საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ დაახლოებით 10 წელი გავიდა, მაგრამ გერმანია ჯერ კიდევ გათიშვის მდგომარეობაში იმყოფება და არა აქვს საზავო ხელშეკრულება, ხოლო გერმანელი ხალხი კვლავ არათანასწორუფლებიან მდგომარეობაშია სხვა ხალხების მიმართ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკამ, რომლის მიზანია დასავლეთ გერმანიის ო�ილიტარიზაცია და მისი შეყვანა აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში და რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებებში, შეუძლებელი გახადა საჭირო შეთანხმების მიღწევა მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ საფუძვლებზე გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესახებ და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება.

ითვალისწინებს რა, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის განმტკიცდა და განვითარდა მეგობრული ურთიერთობა, რაც ემყარება სუვერენიტეტისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების აღიარებას, იღებს რა მხედველობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აზრს და ითვალისწინებს რა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ინტერესებს,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამ ბრძანებულებით აცხადებს:

1. საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის მდგომარეობა წყდება და მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა მყარდება.

2. ომთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა იურიდიული შეზღუდვა გერმანელ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც მიჩნეული იყვნენ მტრული სახელმწიფოს მოქალაქეებად, ძალაშ კარგავს.

3. გერმანიასთან ომის მდგომარეობის შეწყვეტის გამოცხადება არ ცვლის მის საერთაშორისო ვალდებულებებს და არ ეხება საბჭოთა კავშირის უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ მთლიანად გერმანიის შესახებ ოთხი სახელმწიფოს არსებული საერთაშორისო შეთანხმებებიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 25 იანვარი.

საქართველოს მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე

ცნობა, რომ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ნ. შატალინი დათანხმდნენ კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე, სწრაფად მოეფინა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს. საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ ცნობას.

გუშინ იმ საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სადაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები დათანხმდნენ კენჭი იყარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე, ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა. ამ მიტინგებმა ცხადყო საბჭოთა ადამიანების სიყვარული და ერთგულება თავიანთი სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი.

დიდი აღმავლობით ჩაიარა მიტინგმა თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში, რომლის კოლექტივმაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის 46 საარჩევნო ოლქში დასახელა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი გ. მ. მალენკოვი. ორატორები მხურვალედ იწონებდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას, რომელიც გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს. ისინი აცხადებდნენ, რომ მზად არიან კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს ფეხსაცმლის გადამჭიმავმა მ. თედიაშვილმა, გამომჭრელმა ე. არვეშეტიანმა, პირველი სამკერვალო სამაჭრის უფროსმა ი. ხაზალოვმა და სხვებმა.

— საბჭოთა ადამიანებს, — თქვა მ. თედიაშვილმა, — მტკიცედ აქვთ შეგნებული, რომ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულ მთელ თავიანთ წარმატებებს უნდა უმადლოდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას. ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ზრუნვა პარტიისა და მთავრობის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია. ჩვენ სიხარულით შევიტყეთ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი გ. მ. მალენკოვი დათანხმდა კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენს საარჩევნო ოლქში. ჩვენ ახალი შრომითი წარმატებებით ვხვდებით მომავალ არჩევნებს. პირადად მე ვალდებულებას ვკისრულობ სულ ცოტა 150 პროცენტით შევასრულო ჩემი ყოველდღიური საწარმოო დავალება.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში გაიმართა პროფესორთა, მასწავლებელთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის თანხმობას კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ორჯონიკიძის 37 საარჩევნო ოლქში.

მთელი კოლექტივის ფიქრები და გრძნობები გამოთქვა უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა ი. გვერდწითელმა.

— ჩვენ, — განაცხადა მან, — დიდი კმაყოფილებით შეეხვდით ცნობას, რომ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი დათანხმდა კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ორჯონიკიძის 37 საარჩევნო ოლქში.

არჩევნებისათვის მზადება იმის მკაფიო გამოხატულებაა, რომ საბჭოთა ადამიანები მზად არიან თავდადებით იბრძოლონ კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის. ჩვენ, მეცნიერები, გავამჟავლებთ ჩვენს წვლილს კომუნისტური მშენებლობის საქმეში, მტკიცედ წავწევთ წინ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას.

აღფრთოვანებით ჩაიარა თბილისის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოში — ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მიტინგმა, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის თანხმობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის მოლოტოვის 16 საარჩევნო ოლქში.

— ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის თანხმობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში,—თქვა ახალგაზრდა ინჟინერმა ამხ. თ. ლომაძემ, — დიდი სიხარულით შეხვდა ყველა ამომრჩეველი. ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ისინი მხურვალედ, სულით და გულით ერთგულნი არიან კომუნისტური პარტიისა, რომლის პოლიტიკის მიზანია ხალხის კეთილდღეობა, მშვიდობის საქმის განმტკიცება. პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურყევ ერთიანობას მკაფიოდ გამოხატავს კომუნისტებისა და უპარტიოების მძლავრი ბლოკი.

თავიანთი დიდი კმაყოფილება იმით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა თანხმობა განაცხადა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქალაქ ქუთაისის კიროვის 207 საარჩევნო ოლქში, გამოხატეს იმ საწარმოთა მიტინგების მონაწილეებმა, რომელთა კოლექტივებმაც დასახელეს მისი კანდიდატურა.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში გამართულ მიტინგზე გამოვიდა მოწინავე მქსელავი ამხ. ნ. ხარატიშვილი. მან თქვა:

— ჩვენ გვახარებს ის, რომ ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი დათანხმდა ჩვენი დეპუტატობის კანდიდატი იყოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში. ჩვენ, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, აღფრთოვანებით ვემზადებით არჩევნებისათვის. ჩვენ კიდევ უფრო კარგად, უფრო ნაყოფიერად ვიშრომებთ.

სამუშაო დღის შემდეგ მიტინგზე შეიკრიბა „მთავარნავთობგასაღების“ ბათუმის სამმართველოს კოლექტივი, რომელმაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ამხანაგი ნ. ა. ბულგანინი. აქ გამოვიდა საამქროს უფროსი ამხ. ვ. ებრალიძე, რომელმაც ყველა ამომრჩეველის სახელით დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ამხანაგი ნ. ა. ბულგანინი დათანხმდა კენჭი იყაროს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ ბათუმის ფრუნზეს 331 საარჩევნო ოლქში. მიტინგზე გამოვიდნენ წარმოების მუშაკები, რომლებმაც ახალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს.

ქალაქ სოხუმის ლენინის 293 საარჩევნო ოლქში გაიმართა მიტინგები, რომლებიც მიეძღვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის თანხმობას კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე. საორთქლმავლო დეპოში მიტინგზე გამოვიდა მემანქანე-ინსტრუქტორი ამხ. ს. ქობულია, რომელმაც განაცხადა, რომ არჩევნების დღეს ოლქის ამომრჩეველები, ისევე როგორც საქართველოს ყველა მშრომელი, ცხადყოფენ თავიანთ დარაზმულობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ხმას მისცემენ კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას.

ახალქალაქის მტს-ის მექანიზატორებმა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ ა. ი. მიქოიანის თანხმობას კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალქალაქის 97 საქალაქო საარჩევნო ოლქში, ილაპარაკეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად ვადამდე დაამთავრებენ ტრაქტორების შეკეთებას, სანამუშოდ მოემზადებიან მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. მიტინგზე მტს-ის კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოთქვა სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ა. ირიცანმა.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაგვაზაოს სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა შეიკრიბნენ მიტინგზე, რომელიც მიიწვიეს ამასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის საზღვაო საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგი მ. ზ. სახურაფი დათანხმდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს გეგეჭკორის 282 საარჩევნო ოლქში. კოლმეურნეთა სახელით ილაპარაკა ჩაის მკრეფავმა ა. შეძელიამ, რომელმაც თქვა, რომ რაიონის კოლმეურნეები 1955 წელს მიაღწევენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

ტყიბულის მეშახტეებმა დიდი შრომითი აქტივობით აღნიშნეს არჩევნებისათვის მზადება. მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივის მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ მ. გ. პერვუხინის თანხმობას კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ტყიბულის 215 საარჩევნო ოლქში, ქვანახშირის მუშაკებმა ახალი შრომითი ვალდებულებანი იკისრეს.

აქ გამოვიდა მწერალი ა. ხორხომელიძე, რომელმაც მოუწოდა მეშახტეებს — ქვანახშირის ამოღების გადიდებით შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს.

მიტინგები, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნების ამხანაგების მ. ა. სუსლოვის, პ. ნ. პოსპელოვის, ნ. ნ. შატალინის თანხმობას კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე, გაიმართა ქვემო ბოლნისის 119, ქარელის 76 და ხიდისთავის 246 საარჩევნო ოლქებში. (საკდესი).

გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 26 კომისრის სახელობის № 46 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის კანდიდატურა. ამავე დღეს საქართველოს კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური მინისტრის სახელობის № 46 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელიც საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელიც რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა სსრ კავშირის მინისტრ-სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ორჯონიკიძის № 37 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის კანდიდატურა. სურათებზე: 1. 26 კომისრის სახელობის № 46 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. 2. ორჯონიკიძის № 37 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ბათუმის ფრუნზეს 331 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ბათუმის ფრუნზეს 331 საარჩევნო ოლქში ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ბათუმის ფრუნზეს 331 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, რომელიც დაასახელეს ბათუმის სავაგონო დეპოს, „მთავარნავთობგასაღების“ ბათუმის სატვირთო-სატრანსპორტო სამმართველოს, ციტრუსკომბინატის კოლექტივების საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. ი. კოკლატაძე
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გ. დ. ბურჭულაძე
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ლ. გ. ელენინა
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: თ. მ. ნიკოლაიშვილი, ა. ი. კილასონია, ა. ვ. დარჩია, ი. ნ. გონდარენკო, ლ. ი. სანკოვა, მ. ი. ცაგარეიშვილი

ქ. ბათუმი. 1955 წ. 25 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ქუთაისის კიროვის 207 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის კიროვის 207 საარჩევნო ოლქში კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ქუთაისის კიროვის 207 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რომელიც დაასახელეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივების, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორთა, მასწავლებელთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ც. ვ. მაჭარაშვილი
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დ. ა. ჩეჩელაშვილი
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ა. მ. გვაზავა
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: გ. ნ. ცვარიანი, ზ. ა. ჭაჭიაშვილი, ლ. ს. ხაზარაძე, დ. პ. ინოზემცევი, შ. კ. გვენეტაძე, ს. ი. ფიჩხაძე

ქ. ქუთაისი. 1955 წ. 25 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ სოხუმის ლენინის 293 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ სოხუმის ლენინის 293 საარჩევნო ოლქში ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ სოხუმის ლენინის 293 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელიც დაასახელეს სოხუმის საორთქლმავლო დეპოს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიისა და გამომცემლობის მთავარი სამმართველოს სოხუმის სტამბის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკური ბაღის კოლექტივების საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ი. კ. ბაგისოანია
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ე. ლ. შევალიე
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ნ. შ. ინალიშვილი
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: ს. ა. ავეტისოვა, ო. ი. ხარგელია, ა. ნ. ჯონუა, ნ. ს. გახოკიძე, ი. დ. ჩოკორია, შ. ი. რატიანი

ქ. სოხუმი. 1955 წ. 25 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის 46 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის 46 საარჩევნო ოლქში გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის 46 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც დაასახელეს თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის, თბილისის სატრიკოტაჟო-საგალანტერიო ფაბრიკის კოლექტივებმა და N ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. ო. იავრიანი
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ს. ბ. ბუხაიძე
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი მ. ი. მეგრელიშვილი
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: ზ. ლ. ერამოსიანი, ს. ნ. ბალაშოვა, მ. ა. გლიახვანი, ზ. მ. ხაჩიანი, შ. ო. აკოფიანი, ც. ს. ვეფხვაძე

ქ. თბილისი. 1955 წ. 25 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალქალაქის 97 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

ანასტას ივანეს-ძე მიქოიანის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალქალაქის 97 საქალაქო საარჩევნო ოლქში ანასტას ივანეს-ძე მიქოიანის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალქალაქის 97 საქალაქო საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც დაასახელეს ახალქალაქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის, რაიონის სამრეწველო კომბინატის და რაიონის სამომხმარებლო კავშირის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლ. ლ. ტაშჩიანი
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ა. ზ. კაშაკოვი
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი კ. მ. მელქონიანი
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: ნ. ხ. პოღოსიანი, ე. დ. კალგინა, ბ. ა. ალგერტიანი, რ. ვ. აკოფიანი, ი. ს. კარტაშიანი, კ. ბ. ხოდინიანი

ქ. ახალქალაქი. 1955 წ. 25 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის მოლოტოვის 16 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის მოლოტოვის 16 საარჩევნო ოლქში ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის მოლოტოვის 16 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც დაასახელეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს, თბილისის თბოელექტროცენტრალის კოლექტივების საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ო. ი. ლოლაშვილი
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ბერიძე
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ე. ლ. პეტროსიანი
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: თ. დ. ლომიძე, ლ. შ. ჩანჩალეიშვილი, გ. გ. გაფეხრელიძე, მ. ვ. ყარაყარაშვილი, პ. ს. გაფრინდაშვილი, გ. მ. ფოჩხიძე

ქ. თბილისი. 1955 წ. 25 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ტყიბულის 215 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ტყიბულის 215 საარჩევნო ოლქში მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ტყიბულის 215 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც დაასახელეს „ტყიბულშვანახშირის“ ტრესტის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის, ვ. ი. ლენინის სახელობის შახტების მაღაროელთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა და სოფელ მუხურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზ. ნ. ნასარეია
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ი. ბრიგოლაშვილი
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ა. ს. ჩხეიძე
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: ზ. ზ. რაზმაძე, ნ. ა. აბულაძე, ვ. რ. აბესაძე, ვ. ა. თავართქილაძე, დ. ს. გაღდავაძე, მ. ვ. ვარდოსანიძე

ქ. ტყიბული. 1955 წ. 25 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქარელის 76 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

პეტრე ნიკოლოზის-ძე პოსპელოვის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქარელის 76 საარჩევნო ოლქში პეტრე ნიკოლოზის-ძე პოსპელოვის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქარელის 76 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **პეტრე ნიკოლოზის-ძე პოსპელოვი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რომელიც დაასახელეს ქარელის რაიონის სოფელ ქარელის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, სოფელ ქვემო ხვედურეთის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა და ბენინის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თ. მ. დევდარიანი
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ა. დ. მჟედლიშვილი
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ე. ბ. მოახლიშვილი
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: ნ. ნ. გოგბალაძე, პ. ნ. გოჩალაშვილი, ც. პ. ბუხსიანიძე, ვ. ა. ბიგილური, ვ. ფ. ფილიშვილი, ძ. გ. არავიაშვილი

ქარელი. 1955 წ. 25 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის 282 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

მაქსიმე ზაქარიას-ძე საბუროვის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გეგეჭკორის 282 საარჩევნო ოლქში მაქსიმე ზაქარიას-ძე საბუროვის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის 282 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **მაქსიმე ზაქარიას-ძე საბუროვი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც დაასახელეს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაგვაზაოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, სოფელ ხუნწის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის, სოფელ გეგეჭკორის ს. მ. კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრების საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბ. ა. წულაია
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. გჟალავა
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ს. ა. ქვესელავა
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: ჟ. ა. მონიავა, ვ. ა. ჩხეტია, ვ. ე. უგულავა, ე. ე. ოდიშარია, პ. ე. წულაია.

გეგეჭკორი. 1955 წ. 25 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქვემო ბოლნისის 119 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქვემო ბოლნისის 119 საარჩევნო ოლქში მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქვემო ბოლნისის 119 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რომელიც დაასახელეს ბოლნისის რაიონის სოფელ ქვემო ბოლნისის XVIII პარტყრილობის სახელობის, სოფელ ბოლნისის პარიზის კომუნის სახელობის არტელების კოლმეურნეთა საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. ფ. ფარაჯევი
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მ. ს. ბაირამოვი
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ბ. ი. მორალევიჩი
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: ე. ვ. ჩხაიძე, პ. გ. არზუმანიანი, მ. ა. კასუმოვი, ს. მ. ავეტისიანი, პ. ი. ბაირამოვა, ბ. ტ. შირაჩიანი

ბოლნისი. 1955 წ. 25 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის 37 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის 37 საარჩევნო ოლქში ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის 37 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომელიც დაასახელეს ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორთა, მასწავლებელთა, სტუდენტთა, მოსამსახურეთა, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივის საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შ. ვ. ცაგარეიშვილი
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ნ. თ. თათრიშვილი
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ლ. პ. ჯიჭია
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: მ. მ. ბოცაძე, შ. ს. შარაშენიძე, შ. კ. ლარცულიანი, თ. ვ. ჭავჭანიძე, ნ. ლ. ტატულოვა, ვ. ბ. ცინცაძე

ქ. თბილისი. 1955 წ. 25 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის 246 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის

ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე შატალინის

რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის 246 საარჩევნო ოლქში ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე შატალინის დასახელების შესახებ და განცხადება მისი თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიამ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე დაადგინა:

რეგისტრაციაში გატარდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის 246 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად **ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე შატალინი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რომელიც დაასახელეს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, სოფელ ქვემო ერკეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ და სოფელ ბასილეთის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბ. უ. ქალანდაძე
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ნ. ლორია
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ა. ს. ქალანდაძე
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: ი. ბ. მჟავანაძე, შ. ყ. კუტუბიძე, ს. ვ. ანთიძე, შ. ლ. ბოლქვაძე, ხ. მ. ქალანდაძე, ტ. ნ. მგალობლიშვილი

ჩოხატაური. 1955 წ. 25 იანვარი.

მოწინავე კოლმეურნეოგათა გამოცდილებიდან

იზრდება და მჯიცდება საზოგადოებრივი მეურნეობა

სიუხვის გზაზე

სტალინირიდან კარგი საავტომობილო გზა მიდის სოფელ ერედვამდე. ეს ის სოფელია, რომელმაც საკოლმეურნეო შრომით მოიპოვა სახელი და დიდება, შეძლებული ცხოვრება. შედიხართ ერედვში და გული სიხარულით გევსებათ. ვისაც ოციოდე წლის წინათ უნახავს იგი, ვერც კი იცნობს. სადღაა ქვარტლიანი მიწური სახლები. მათ ნაცვლად ჩამწკრივებულან ლამაზი, მეტწილად ახლადნაგები სახლები. აქაური მიწა უხვ მოსავალს იძლევა, გაწეხრელად ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

სოფლის შუაგულში კოლმეურნეობის კანტორის შენობა დგას. კანტორის ეზოში მოწყობილია სკვერი, სადაც აღმართულია ძეგლი დიდი სტალინისა, ვის სახელსაც ამაყად ატარებს ერედვის კოლმეურნეობა.

ოცდახუთი წლისაა ეს კოლმეურნეობა. მისი სიმდიდრეა 3.200 ჰექტარი ფართობი. აქედან 831 ჰექტარი სახნავ-სათესია. აქ მოჰყავთ პური, სიმინდი, შაქრის ჭარხალი, ყურძენი, ბოსტნეული, ხილი...

ერედველთა შესანიშნავი შრომის შედეგები ნათლად ჩანს. უსაქმოდ აქ ადამიანი კი არა, მიწაც, მდინარეც არ არის. პატარა ლიახვი შეუბორკავთ და არხებით დაუქსელავთ. იგი ძირითად სარწყავ სისტემად გადაუქცევიათ. საკმარისია ითქვას, რომ მთელი ფართობის სამოცდაათ პროცენტს ვანათის სარწყავი არხით რწყავენ.

სოფელ ერედვის კოლმეურნეობა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ბევრად არ განსხვავდებოდა ოლქის სხვა კოლმეურნეობებისაგან, თავისი მაჩვენებლებით უკანასკნელ წლებში სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობათა შორის პირველია. აქ მნიშვნელოვანი მოღწევებია მოპოვებული საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში. მკვეთრად ამაღლდა საოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამან საშუალება მისცა კოლმეურნეობას წლითიწლობით გაედიდებინა საკუთარი ფულადი შემოსავალი, აემაღლებინა შრომადღის ხვედრი. მაგალითად, თუ 1950 წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 1.230.252 მანეთი იყო, 1954 წელს მან 2.600.000 მანეთს მიაღწია. საგრძნობლად გადიდდა განუყოფელი ფონდები. 1950 წელს თვითეულ ჰექტარზე კოლმეურნეობას ფულადი შემოსავალი ჰქონდა 1.833 მანეთი, 1954 წელს კი — 3.611 მანეთი. შარშან თვითეულ შრომადღეზე ავანსად გასცეს 5 კილოგრამი მარცვლეული და 10 მანეთი ფულად. ეს დიდად მეტია იმაზე, რაც 1950 წელს გაიცა.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება

სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის, კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელ ზრუნვას ერედველმა კოლმეურნეებმა ახალი შრომითი საქმეებით უპასუხეს.

სოფლის მეურნეობის მრავალ დარგში მუშაობენ ერედველები, მაგრამ მთავარი მაინც მემინდვრეობაა. მარცვლეულის მეურნეობაში ყველა სამუშაო მექანიზებულია. კოლმეურნეობას ემსახურება ქსუისის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა 5 ტრაქტორით. უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა პურეულის მოსავალი. შარშან 1950 წელთან შედარებით თვითეულ ჰექტარზე ხორბლის ორჯერ მეტი მოსავალი მიიღეს, სიმინდისა — სამჯერ მეტი. ამას იმით მიაღწიეს, რომ კოლმეურნეობაში ფართოდ დანერგეს თესვის ახალი, პროგრესული მეთოდი — სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივად, თავთავიანი მარცვლეული კულტურების ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად თესვა.

ხორბლისა და სიმინდთან ერთად კოლმეურნეობაში ყურადღებით სარგებლობს ვაზი. გასულ წელს სამჯერ მეტი ყურძნის მოსავალი მიიღეს, ვიდრე 1950 წელს. აქაური ყურძენი ძვირფასი მასალაა შამპანურისათვის. ახლა კოლმეურნეთა ოჯახებს საკოლმეურნეო და საკუთარი წარმოების ღვინო აქვთ.

მებაღეობა-მევენახეობის ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი შალვა ბერუაშვილი ხელმძღვანელობს, შეუპოვარი შრომით და ყველა აგროტექნიკური წესის გამოყენებით ყოველწლიურად ერთიორად ასრულებს ყურძნის მოსავლიანობის გეგმას.

ერედველთა ხეხილის ბაღი სანაქებოა მთელ სამხრეთ ოსეთში. შარშან ყოველ ჰექტარზე 123 ცენტნერი ხილი

სოფელ ერედვის კოლმეურნეობის წევრის დ. თუაევის ოჯახმა შარშან 900 შრომადღე გამოიმუშავა და ავანსად მიიღო 8.900 კილოგრამზე მეტი მარცვლეული. სურათზე: საწყობის გამგე რ. ბერუაშვილი (მარცხნივ) კოლმეურნე დ. თუაევს აძლევს შრომადღეებზე კუთვნილ მარცვლეულს.

◁ ★ ▷

მიიღეს. ეს სამჯერ აღემატება დავალებას. აქაური ხილი იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორები — კოლმეურნეობის თავმჯდომარე იასონ ქრისტესიაშვილი და აგრონომი ტრიფონ ცაგარეიშვილი მუდამ ახლის მაძიებელი ადამიანები არიან. ამხ. ი. ქრისტესიაშვილმა კოლმეურნეთა ერთ-ერთ საერთო კრებაზე წამოაყენა წინადადება, რომ შემოდგომის ხორბლის აღების შემდეგ ნაწვერალზე დათესათ სიმინდი, ლობიო, ქერი და ამით მეცხოველეობისათვის შექმნათ მტკიცე საკვები ბაზა, ჰქონოდათ მეწველი ძროხების საკვებად როგორც მწვანე მასა, ისე სილოსი.

ზოგიერთ კოლმეურნეს ამ წინადადების წარმატება არ სჯეროდა. კოლმეურნემ ი. ბერუაშვილმა განაცხადა: მოსავალს ძლივსძლივობით ვიღებთ და მეორე მოსავალი როდის მოასწრებს დამწიფებასო.

მაგრამ კოლმეურნეთა კრებამ მხარი დაუჭირა თავმჯდომარის წინადადებას. გასული წლის 20 ივლისისათვის კოლმეურნეობამ დაამთავრა პურეულის მოსავლის აღება. განთავისუფლებულ ფართობზე 5 დღის შემდეგ ტრაქტორები ახმაურდნენ. მაღალნაყოფიერად იშრომეს ქსუისის მტს-ის მექანიზატორებმა გიორგი ვახტანგაშვილმა, გიორგი ბერუაშვილმა და ნიკოლოზ მაისურაძემ.

მოხვნის შემდეგ დაფარცხულ 63 ჰექტარ ნაწვერალზე 29 ივლისს მანქანით დათესეს სიმინდი. თვითეულ ჰექტარზე ჩაყარეს 50 კილოგრამი თესლი. 5 დღის შემდეგ ნათესი მთლიანად აღმოცენდა. ეს ნაკვეთი მოსავლელად მიუჩინეს პირველ (ხელმძღვანელი ნ. ბერუაშვილი), მეორე (ხელმძღვანელი შ. ბერუაშვილი) და მესამე (ხელმძღვანელი ს. ოზგებიშვილი) ბრიგადებს. ვეგეტაციის პერიოდში სიმინდის ნათესი ორჯერ გათოხნეს და მორწყეს ვანათის სარწყავი არხით. კარგი მოვლის შედეგად მცენარე მალე გაიზარდა, ოქტომბერში სიმინდის სიმაღლემ მეტრნახევარს მიაღწია. ნაწვერალზე მოყვანილი თვითეული ძირი სიმინდის მწვანე მასა დაახლოებით 700 გრამს იწონიდა. კოლმეურნეობამ აქედან ნაწილი ძროხებს მწვანე მასად შეაჭამა, ხოლო სასილოსედ გამოიყენა 200 ტონა.

აგვისტოში 9 ჰექტარზე დათესეს ლობიო. აქედან 3 ჰექტარზე მოყვანილი მოსავალი მწვანე საკვებად გამოიყენეს, ხოლო 6 ჰექტარზე ოქტომბერში მიიღეს მწვანე ლობიოს მოსავალიც და გალიტანეს საკოლმეურნეო ბაზარში გასაყიდად. მარტო აქედან კოლმეურნეობამ 15 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო. გარდა ამისა, სასილოსედ გამოიყენეს 15 ტონა მწვანე ლობიო.

პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით მაისში დათესეს საკვები გოგრა 0,41 ჰექტარზე. თვითეულ ბუდნაში შეიტანეს 12 კილოგრამი ნაკელი. მორწყეს ორჯერ. ამის შედეგად ერთ ბუდნაზე მიიღეს 100 კილოგრამამდე გოგრა. ბევრი იყო ისეთი გოგრა, რომელიც 28-32 კილოგრამს იწონიდა. პირველი მოსავალი მიიღეს 25 ივლისს. სულ მოსავალი აიღეს 5-ჯერ. ამრიგად, კოლმეურნეობას ივლისიდან მიმდინარე წლის იანვრამდე საშუალება ჰქონდა თვითეული ძროხისათვის საკვებად ყოველდღიურად მიეცა 8 კილოგრამი საკვები გოგრა.

პირუტყვის მწვანე საკვებად გამოიყენეს აგრეთვე კომბოსტო. კომბოსტოს ჩითილი ადგილზე გამოიყვანეს და დარგეს. პირველი მოსავალი მიიღეს 5 აგვისტოს. აქ კომბოსტოს ფოთლებს აცლიდნენ, ურევდნენ უხეშ საკვებში და ისე აჭმევდნენ მეწველ ძროხებს. კომბოსტო კი ყოველ 10 დღეში ახალ ფოთოლს იკეთებდა, მოსავალს იღებდნენ დეკემბრამდე. შემდეგ ძირიანად აჭრეს კომბოსტო და სასილოსედ 8 ტონამდე გამოიყენეს.

ახალმოგებული ხბოები ჭამას რომ შეაჩვიონ, საჭიროა რბილი თივა. რადგან კოლმეურნეობას ადგილზე თივა არა ჰქონდა, იძულებული იყვნენ ქალაქ სანთბოიარის მთებიდან ეზიდათ თივა, რისთვისაც ყოველწლიურად 600 შრომადღე იხარჯებოდა.

ახლა კი რბილი თივა ადგილზე მოჰყავთ. ნაწვერალზე თესავენ ქერს, შემდეგ თიბავენ და იყენებენ ხბოების საკვებად. ეს კოლმეურნეობას ყოველწლიურად 500 შრომადღის ეკონომიასაც აძლევს.

ამრიგად, ერედვის კოლმეურნეობამ ნაწვერალზე პირუტყვის საკვები კულტურების მოყვანის შედეგად თავისი საკვები ბალანსი მიმდინარე ზამთარში 215 ტონა სილოსით, 60 ტონა მწვანე მასით და 60 ტონა ხარისხოვანი თივით გაზარდა.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებს. ასეთი პრაქტიკა ოლქის კოლმეურნეობებში პირველია. ამიტომ იყო, რომ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა ამ დღეებში სპეციალურად მოწვეულ ბიუროზე მოისმინა სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ქრისტესიაშვილის მოხსენება მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში მათი გამოცდილების შესახებ. ეს გამოცდილება ფართოდ უნდა დაინერგოს კოლმეურნეობებში.

• • •

ეს თითქოს ძალიან უბრალო საქმეა. მაგრამ აი გავეცნოთ იმ მაჩვენებლებს, რაც ამჟამად აქვს კოლმეურნეობას მეცხოველეობის პროდუქტიულობის საქმეში. 1951 წელს კოლმეურნეობამ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 384 ლიტრი რძე, როცა გეგმა 850 ლიტრს ითვალისწინებდა. 1954 წელს კი თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობამ 909 ლიტრს მიაღწია. ზოგიერთ ძროხაზე 1.800 ლიტრი რძე მიიღეს და წლიური გეგმა გადაჭარბებით გაანაღდეს. როგორც კოლმეურნეობის ბუხჰალტერმა ვ. ტურაშვილმა საუბარში განაცხადა, მარტო ნაწვერალზე პირუტყვის საკვების კულტურის მოყვანამ შარშან კოლმეურნეობას 75.000 მანეთის ეკონომია მისცა.

ფერმაში (გამგე ო. ქელეხსაშვილი) მთლიანად შენარჩუნებულია მიღებული ნამატი. ეს მიღწეულია ნორმალური კვებით, რაც ნამატის შენარჩუნების მთავარი პირობაა.

რას ფიქრობს კოლმეურნეობა მომავალში? აქ აღნიშნული მიღწევებით როდი კმაყოფილდებიან, მეცხოველეობის განვითარებისათვის ახალი ღონისძიებანი დასახეს. წელს თვითეულ ძროხაზე დაამზადებენ სულ ცოტა 7 ტონა სილოსს. გადიდდება მრავალწლიანი ბალახისა და ძირხვენების ნათესი ფართობი. მარტო სანაწვერალო კულტურებიდან მიღებულ იქნება 400 ტონამდე სასილოსე მასა და ამავე დროს ზამთარსა და ზაფხულში პირუტყვის საკვებად მუდამ ექნებათ მწვანე მასა. ერთიორად გაზრდილ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობას.

კოლმეურნეთა კეთილდღეობა

საკოლმეურნეო წარმოების განვითარებამ არსებითად გააუმჯობესა კოლმეურნეობის წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. შარშან მრავალმა კოლმეურნემ აიგო ახალი კეთილმოწყობილი სახლი. აი გიორგი ქრისტესიაშვილის, მიხეილ ვახტანგაშვილის, ნიკოლოზ ბერუაშვილის, დავით ვახტანგაშვილის, მიხეილ მაისურაძის და სხვათა ახლადაგებული სახლები. ეს მათ კოლმეურნეობიდან მიღებული შემოსავლით აიშენეს. კ. ხაჩიროვის ოჯახმა შარშან 819 შრომადღე გამოიმუშავა და კოლმეურნეობიდან ავანსად მიიღო 4.095 კილოგრამი მარცვლეული და 8.190 მანეთი ფულად. ასევე შრომის ბარაქით ივსება ნ. ბერუაშვილის, ვ. ქელეხსაშვილის, დ. თუაევის, დ. ბერუაშვილის და სხვათა ოჯახები.

სახე იცვალა სოფელმა. ერედვში საკუთარი ძალებით ააშენეს ელექტროსადგური. ახლა თვითეული კოლმეურნის სახლი გაჩირაღდნებულია ელექტროშუქით. გარდა ამისა, ელექტროენერგია გამოყენებულია სხვა საოჯახო საჭიროებისათვის. მთელი სოფელი რადიოფიცირებულია.

ახლა სოფელში ახალი შრომითი აღმავლობაა. საკოლმეურნეო შენობის ნათელ ბინაში მოწყობილია საარჩევნო უბანი. აქ ყოველ საღამოს იკრიბებიან ამომრჩევლები. მათთან საუბრობენ სოფლის მასწავლებლები გ. ფუხაევი, კ. მერაბიშვილი, ნ. ბაციკაძე, ო. ქრისტესიაშვილი და სხვები. 23 მასწავლებელი ამ სოფლის მკვიდრია. ისინი საიმედოდ ზრდიან ერედველთა ბავშვებს.

ამას წინათ, ქსუისის მტს-ში გაიმართა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება. კოლმეურნეები და მექანიზატორები აქ მოვიდნენ მტკიცე გადაწყვეტილებით — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ხალხის რჩეული ადამიანი.

ტრიბუნაზეა ქსუისის მტს-ის მექანიკოსი თ. გოგიჩაიშვილი. იგი ქსუისის № 349 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს იასონ ილიას-ძე ქრისტესიაშვილს.

ხალხი ამ ამბავს დიდი სიხარულით შეხვდა. საარჩევნო უბნებში ჩქეფს შინაარსიანი ცხოვრება. აგიტატორები მოსახლეობაში ფართოდ ეწევიან აგიტაციას თავიანთი მკვიდრის — ი. ქრისტესიაშვილის სასარგებლოდ. კოლმეურნეები კვლავ ახალი ძალით განაგრძობენ შრომას. ისინი წარმატებით ემზადებიან მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. მათი პირობაა გაზარდონ საკოლმეურნეო ხვავი და ბარაქა.

შ. ჭოჭუა,
ი. თედიაშვილი.

სურათზე: სოფელ ერედვის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ვ. უბოეენკოსი.

ჯოუ ენ-ლაის განცხადება

პეკინი, 24 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ დღეს გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ერევა ჩინელი ხალხის მიერ ტაივანის განთავისუფლების საქმეში. განცხადებაში ნათქვამია:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას არაერთგზის და უაღრესად კატეგორიულად გაუცხადებია: ჩინელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გაათავისუფლოს თავისი ტერიტორია — ტაივანი. მას შემდეგ, რაც ამას წინათ ჩინელმა ხალხმა წარმატებით გათავისუფლა კუნძული იძიანშანი, შეერთებული შტატების მთავრობამ ერთი მხრივ გააძლიერა თავისი სამხედრო ოპერაციები, განსახილველ აქვს რა განახორციელოს სამხედრო პროვოკაციები, ხოლო მეორე მხრივ ამზადებს შეთქმულებას იმ მიზნით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით შეწყდეს ცეცხლი და ამრიგად აპირებს ჩაერიოს ჩინელი ხალხის მიერ ტაივანის განთავისუფლების საქმეში.

ტაივანი ჩინეთის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია. ტაივანის განთავისუფლება ჩინეთის სუვერენული უფლება და საშინაო საქმეა; და აქ დაუშვებელია რაიმე ჩარევა გარედან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის მე-7 პარაგრაფი აგრეთვე ნათლად ითვალისწინებს: „ეს წესდება სრულიადაც არ ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლებას ჩაერიოს იმ საქმეებში, რომლებიც არსებითად შეადგენს ამა თუ იმ სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციას, და არ მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებისაგან წარადგინონ ასეთი საქმეები ამ წესდების წესით გადასაწყვეტად“. ამიტომ არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, არც რომელიმე უცხო სახელმწიფოს არა აქვს უფლება ჩაერიოს ჩინელი ხალხის მიერ ტაივანის განთავისუფლებაში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ დათანხმდება შეწყვიტოს ცეცხლი ჩან კაი-შის მოღალატური ხროვის წინააღმდეგ, რომელიც ჩინელმა ხალხმა უარყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ის გარემოება, რომ ჩინელი ხალხი აბორიგენებს თავის სუვერენულ უფლებებს კონტინენტური ჩინეთისა და ბევრი სანაპირო კუნძულის განთავისუფლების საქმეში, არასოდეს არ ყოფილა [illegible] მოსავლეთში დაძაბულობის [illegible] ლი დაძაბულობა [illegible] მხოლოდ იმ ფაქტით აიხსნას, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ მოახდინა ტაივანის ოკუპაცია, ეხმარება ჩან კაი-შის მოღალატურ ხროვას, მუდამ ხელმძღვანელობს ძირგამომთხრელ საქმიანობას და მიმართავს სამხედრო მუქარას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეგრეთწოდებულმა „ხელშეკრულებამ ურთიერთ უშიშროების შესახებ“, რომელიც დაიდო შეერთებული შტატების მთავრობასა და ჩან კაი-შის მოღალატურ ხროვას შორის, კიდევ უფრო გააძლიერა ეს დაძაბულობა და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას შორეულ აღმოსავლეთში. საკმაოდ ცხადია, რომ ამ დაძაბულობის წყაროა შეერთებული შტატები და არა ჩინეთი. ეს დაძაბულობა ბუნებრივად მოისპობა, თუ შეერთებული შტატები შეწყვეტენ ჩინეთის საშინაო საქმეში ჩარევას და ტაივანიდან და ტაივანის სრუტიდან გაიყვანენ მთელ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს.

ეგრეთწოდებული ცეცხლის შეწყვეტა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩან კაი-შის მოღალატურ ხროვას შორის, ცეცხლის შეწყვეტა, რის მიღწევასაც შეერთებული შტატების მთავრობა და მისი მომხრენი ცდილობენ, ნამდვილად არის ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევა და ჩინეთის ტერიტორიის გასხვისება. ისინი მიმართავენ სამხედრო მუქარას და იქნევენ ატომურ იარაღს, ცდილობენ რა აიძულონ ჩინელი ხალხი შეურიგდეს შეერთებული შტატების მიერ ტაივანის ოკუპაციას, ცნოს ამერიკა-ჩანკაიშელთა „ხელშეკრულება ურთიერთ უშიშროების შესახებ“ და ნება დართოს, რომ შეერთებულმა შტატებმა ტაივანი გამოიყენონ სამხედრო ბაზად ახალი ომის მომზადებისათვის. ჩინელი ხალხი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება ამას. იგი მტკიცე პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ.

იმისათვის, რომ დაიცვას ჩინეთის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, დაიცვას ჩინეთის უშიშროება და მშვიდობა შორეულ აღმოსავლეთში, ჩინელმა ხალხმა უნდა გაათავისუფლოს ტაივანი, ხოლო შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტონ ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევა და ტაივანიდან და ტაივანის სრუტიდან გაიყვანონ მთელი თავიანთი შეიარაღებული ძალები.

იუზეფ ცირანკევიჩის წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი

ვარშავა, 23 იანვარი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გუგზავნა წერილი, რომლითაც მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას იმ დახმარებისათვის, რასაც იგი მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში კვლევის განვითარების საქმეს უწევს. წერილში ნათქვამია:

„პოლონეთის ხალხი და მთავრობა დიდი კმაყოფილებით და მადლობით უზვდნენ სსრ კავშირის მთავრობის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი დახმარებას გაუწევს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებაში, აგრეთვე ცდების მიზნით ატომის ენერგიის წარმოების მოწყობილობის მშენებლობაში. ამ დახმარების ყველა ფაქტი აქტის რიცხვს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ვვიწევდა და გვიწევს სახალხო პოლონეთის არსებობის მთელი ხნის მანძილზე, ეკუთვნის ეს აქტიც, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დახმარება პოლონეთში ატომური კვლევის განვითარებაში საშუალებას მოგვცემს გავაჩაღოთ და მნიშვნელოვნად დავაჩქაროთ მუშაობა იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ჩვენს მეცნიერებასა და ჩვენს მშენებლობაში ადამიანის გონების უსაზღვრო ბრწყინვალე მიღწევები. ეს დაარჩარებს ჩვენი ცოდნის მოდერნიზაციის პროცესს ახალი მძლავრი ძალებისა და ბერკეტების შესაძენად, რომლებიც ბევრად გაადიდებენ ჩვენი განვითარების პერსპექტივებს.

ამჟამად მსოფლიოში დიდი ბრძოლა გაჩაღდა იმისათვის, რომ არ დავუშვათ ატომის ენერგიის გამოყენება აგრესიის მიზნით და ადამიანთა ფიზიკური მოსპობის მიზნით, რომ ატომის ენერგია ჩავაყენოთ მშვიდობის, კულტურის ზრდისა და ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცების სამსახურში. მთელი მსოფლიოს ამ ბრძოლაში წინ არის საბჭოთა კავშირი, რომელმაც მსოფლიოში პირველმა ააგო ატომის ენერგიის ელექტროსადგური. საბჭოთა მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი დახმარებას გაუწევს პოლონეთს, სახალხო ჩინეთს, ჩეხოსლოვაკიას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუმინეთს ატომური კვლევის განვითარებაში, იმ განცხადებასთან ერთად, რომ ეს დახმარება შეიძლება გაეწიოს სხვა ქვეყნებსაც, აგრეთვე გადაწყვეტილება გადაეცეს საერთაშორისო კონფერენციას საბჭოთა გამოცდილება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში, მჭევრმეტყველურად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად აბორიგენებს მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. ეს პოლიტიკა განუზომლად განამტკიცებს მშვიდობის ბანაკის ძალებსა და ერთიანობას და აძლიერებს მის საერთაშორისო ავტორიტეტს.

პოლონელი ხალხი სულით და გულით სოლიდარულია ამ კეთილშობილური და შორსმჭვრეტელი პოლიტიკისადმი, რომლის მიზანია ომის ნიმბრეთა იზოლაცია და მშვიდობის ძალების განმტკიცება. ყველა მშრომელი ადამიანის მშვიდობისა და კეთილდღეობის საქმეს შეუწყობენ ხელს მთელი ის წარმატებანი, რომლებსაც ჩვენ მივაღწევთ საბჭოთა კავშირის ძმური დახმარების მეოხებით ატომის ენერგიის კვლევისა და გამოყენების დარგში. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მადლობას უძღვნის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას უდიდესი დახმარებისათვის“.

ასობით მიტინგი და დემონსტრაცია იტალიაში

დაიწყო კამპანია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის

რომი, 24 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ გუშინ მთელ იტალიაში დაიწყო კამპანია მშვიდობის, მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია ნორმალიზაციის გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ და ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ. ასობით მიტინგი და მანიფესტაცია გაიმართა იტალიის სხვადასხვა ოლქში. რომში მიტინგზე თეატრ „ადრიანოში“ სიტყვები წარმოთქვეს იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს წევრმა ჯორჯო ამენდოლამ და სოციალისტმა სენატორმა ემილიო ლუსუმ. ამენდოლამ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისა და გერმანიის გაერთიანების შესახებ გამსჭვალულია მშვიდობის სულისკვეთებით, მაშინ როცა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკაში ბატონობს ომის სულისკვეთება. „დასავლეთ გერმანიის შეიარაღება, — თქვა მან, — გამოუსწორებელი ფაქტორი იქნებოდა, რომელსაც შეუძლია ყოველ წუთს გამოიწვიოს ომის ხანძარი ევროპის ცენტრში“.

ამენდოლამ აღნიშნა, რომ საჭიროა გაფართოვდეს სახალხო მოძრაობა მშვიდობისათვის, რომელიც უნდა დაუკავშირდეს საერთო ბრძოლას დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. „იტალიელი ხალხი, — განაცხადა ორატორმა, — ომის წინააღმდეგია, ფაშიზმის წინააღმდეგია. იგი გამონახავს ძალებს გამარჯვების მოსაპოვებლად“.

მიტინგის დასასრულს მიიღეს მოწოდება ყველა იტალიელისადმი — დარაზმონ მთელი ძალები გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და ატომური ომის გეგმების წინააღმდეგ სამრძოლველად.

მშვიდობის მომხრეთა მიტინგები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს იტალიის პროგრესული პარტიებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა, გაიმართა მილანში, ტურინში, გენუაში, პესკარაში, ბოლონიაში და იტალიის სხვა ქალაქებში.

ავსტრიაში დაიწყო ხელმოწერის შეგროვება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვაზე

ვენა, 25 იანვარი. (საკდესი). ავსტრიის საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით უპერს ზხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილება და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება.

ხალხებს, წერს გაზეთი „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე“, მშვიდობა სურთ. ისინი მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი. ათეულ და ასეულ მილიონობით ხელმოწერა, რასაც შეაგროვებენ მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვაზე, ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას.

ვენაში და ავსტრიის სხვა ქალაქებში დაიწყო მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება. როგორც ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა საბჭო იუწყება, ვენისა და ქვემო ავსტრიის მთელ რიგ ქარხნებში უკვე შეგროვებულია ასობით ხელმოწერა.

ქვემო ავსტრიის მეტალურგიული, ქიმიური და სამთამადნო მრეწველობის მშრომელთა წარმომადგენლები ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მიესალმებიან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებებს. ეს გადაწყვეტილებანი, ხაზგასმით აღნიშნულია რეზოლუციაში, შეესაბამებიან ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის მისწრაფებებს.

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჭუჭყიანი ქალაქი

ნიუ-იორკი, 24 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში ნიუ-იორკს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ჭუჭყიან ქალაქს უწოდებს. „ჭუჭყიანი მარტო ტროტუარები და ქუჩები როდია, — წერს გაზეთი, — ნაგავს ყრიან ათასობით ცარიელ ნაკვეთებზე. ჭუჭყი და სამზარეულოს ნარჩენები გროვდება ქალაქის სხვადასხვა ნაწილის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში, დერეფნებსა და სატვირთო ლიფტებში“.

გერმანელი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება თავისი ქვეყნის გათიშვას

ოლენჰაუერის წერილი ადენაუერისადმი

ბერლინი, 25 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის დპა-ს საagენტოს ცნობით, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ოლენჰაუერმა წერილი გაუგზავნა ფედერალური კანცლერ ადენაუერს. წერილში მოუწოდებს მას სთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს დაიწყონ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის მთავრობასთან იმ წინადადებათა გამო, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კავშირის 1955 წლის 15 იანვრის განცხადება. ასეთი მოლაპარაკება უნდა დაიწყოს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციამდე.

გამოხატავს რა ამ თხოვნას, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ხელმძღვანელს ერთიანდერთი სურვილით — გამოიყენებულ იქნას ყველა შესაძლებლობა, რათა მთელი გერმანელი ხალხი გაერთიანდეს თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ, ხაზგასმით აღნიშნავს ოლენჰაუერი.

გერმანელი ხალხი, აცხადებს იგი, არასოდეს არ შეურიგდება თავის გათიშვას. ჩვენი ქვეყნის დაცვა და უშიშროება უნდა ემყარებოდეს ხალხის ნების ერთობას.

„სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების მკაფიო დადასტურება"

პრაღა, 25 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ, წერს გაზეთი „რუდე პრავო", მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანთა კანონიერ სიხარულს იწვევს. ეს სავსებით გასაგებია. ყოველწლიური შედეგები ნათლად მოწმობენ სსრ კავშირის ხალხთა ახალ საწარმოო წარმატებებს.

შარშან საბჭოების ქვეყანა სწრაფი ტემპით ავითარებდა თავის მძიმე მრეწველობას, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის საფუძველია. მძიმე მრეწველობა რომ არა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, შეუძლებელი იქნებოდა სსრ კავშირის ძლიერების განმტკიცება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მსუბუქი მრეწველობის განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლების უზრუნველყოფა.

ცნობა სსრ კავშირის 1954 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის გადაჭარბებით შესრულების შესახებ, განაგრძობს გაზეთი, მსოფლიოში პირველი სოციალიზმის ქვეყნის ძალისა და ძლიერების ახალი ზრდის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების მკაფიო დადასტურებაა.

„რუდე პრავო" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, შეასრულა რა სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის სახელმწიფო გეგმა, საბჭოთა ხალხმა მნიშვნელოვანი წელი შეიტანა მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობის განმტკიცების საქმეში.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის განცხადება

პარიზი, 24 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ ჟაკ დიუკლომ ეროვნული კრების თავმჯდომარეს გაუგზავნა პროტესტი ომის წინააღმდეგ, რომ მენდეს-ფრანსი ამერიკის ხელშეკრულება ევროპოდებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პაქტის (სეატო) შესახებ სარატიფიკაციოდ წარუდგენოს რესპუბლიკის პრეზიდენტს პარლამენტში განუხილველად.

„კომუნისტური ჯგუფი, — ნათქვამია წერილში, — მტკიცე პროტესტს აცხადებს ამ განზრახვის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს ეროვნული კრების სუვერენულ უფლებათა უპრეცედენტო ხელყოფას, ავრეთვე კონსტიტუციის შინაარსისა და ფორმის დარღვევას... მთავრობა აპირებს პარლამენტის გვერდის აცილით საფრანგეთს დააკისროს საერთაშორისო სამხედრო ვალდებულებანი, რომელთაც შეუძლოთ მსოფლიო ომში ჩათრიონ ჩვენი ქვეყანა. უფრო მეტიც, დებულებანი, რომლებსაც 1954 წლის 8 სექტემბერს ხელმოწერილი ხელშეკრულების ტექსტი შეიცავს, ბევრ პუნქტში აშკარად ეწინააღმდეგება გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია ჟენევაში 21 იულისს და რომლებიც ეროვნულმა კრებამ მოიწონა...

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეროვნულმა კრებამ აზრი უნდა გამოთქვას ამ საკითხზე, რათა აუკრძალოს მთავრობას კონსტიტუციის დარღვევა და საფრანგეთის დაყენება ისეთ გზაზე, რომელიც ეწინააღმდეგება მის ინტერესებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გეგმებთან დაკავშირებით ეროვნულმა კრებამ აგრეთვე უნდა დაიცვას ჩვენი ქვეყანა ავანტიურებისაგან, რომლებსაც კატასტროფისაკენ მივყავართ".

დამთავრდა პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის ყრილობა

დელი, 24 იანვარი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის მესამოცე ყრილობამ.

უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ მოიწონა ცხრა რეზოლუცია; მათ შორის რეზოლუციები განათლების შესახებ, წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის, აგრარული რეფორმისა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ, პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისა და ქალთა და ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

პარტიის თავმჯდომარის დხებარის გამოსვლის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ნერუმ კონგრესის მონაწილეებს მიმართა სამოლოო სიტყვით.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სპეციალური წერილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 24 იანვარი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საagენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა 24 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს სპეციალური წერილი გაუგზავნა. ეიზენჰაუერი მოითხოვს, რომ კონგრესმა მიანიჭოს მას რწმუნებანი — გამოიყენოს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდა უზრუნველყოს ეგრეთწოდებული „ფორმოზისა და პესკადორის კუნძულების უშიშროება" — სხვანაირად რომ ვთქვათ, უზრუნველყოს ამერიკის მიერ ტაივანის ოკუპაციის განგრძობა.

ეიზენჰაუერის მიმართვა აღსავსე იყო მტრული გამოხდომებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

იაპონიის პარლამენტის დათხოვნა

შანხაი, 24 იანვარი. (საკდესი). კიოდო ცუსინის საagენტოს ცნობით, პარლამენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით დღეს ხატოიამას მთავრობამ დაითხოვა პარლამენტის ქვედა პალატა.

ახალი არჩევნების დღე ოფიციალურად ჯერ არ არის გამოცხადებული.

იაპონელი მოჭიდავეები თბილისში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის და თავისუფალი ჭიდაობის საკავშირო სექციის მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება იაპონიის მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრები გუნდი.

გუშინ იაპონელი სპორტსმენები ბაქოდან თბილისში ჩამოვიდნენ. სტუმრებს რკინიგზის სადგურზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, თაიგულები უძღვნეს. იაპონელ მოჭიდავეებს მიესალმა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. საპასუხო მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა იაპონიის სასპორტო დელეგაციის ხელმძღვანელი მ. კოდამა.

***

თავისუფალი ჭიდაობა იაპონიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ ქვეყნის პირველობაზე გამართულ შეხვედრებსა და საერთაშორისო მატჩებს სპორტის ათასობით მოყვარული ესწრება. იაპონელი სპორტსმენები გამოირჩევიან კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით, მოქნილობით, სწრაფი ორიენტაციით.

საბჭოთა და იაპონელი სპორტსმენები ერთმანეთს პირველად XV ოლიმპიურ თამაშებში შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ასპარეზობაზე იაპონიის გუნდი სრული შემადგენლობით არ იყო წარმოდგენილი, მან მოწონება დაიმსახურა.

1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში იაპონიის გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ჩემპიონი გახდა სასახარა (ქვემსუბუქი წონა). საპრიზო ადგილები მოიპოვეს კიეკონომ, კონეკომ და კაცურამოტომ.

სსრ კავშირში იაპონელი მოჭიდავეები პირველად იმყოფებიან. როგორც ცნობილია, პირველი საერთაშორისო შეხვედრა მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 6:2. მეორე მატჩი გაიმართა ბაქოში. საბჭოთა მოჭიდავეებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:4.

***

იაპონიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება თავიისუფალ ჭიდაობაში დიდ ინტერესს იწვევს. შეხვედრა გაიმართება თბილისის სახელმწიფო ცირკში 28 იანვარს.

სურათზე: იაპონელი მოჭიდავეები თბილისის რკინიგზის სადგურზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საბჭოთა და პოლონელ კალათბურთელთა შეხვედრები

საბჭოთა არმიის მიერ გარშავის განთავისუფლების 10 წლისთავის გამო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი. საბჭოთა კალათბურთელებმა მეორე შეჯიბრება გარშავის ნაკრებ გუნდთან მოიგეს 82:57. 22 იანვარს არმიელმა სპორტსმენებმა კრაკოვში მესამე გამარჯვება მოიპოვეს. მათ მოიგეს მატჩი პოლონეთის სამხედრო ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდთან ანგარიშით 58:55.

საბჭოთა შეხვედრები ინდოეთში

სრულიად ინდოეთის ფეხბურთის ფედერაციის მიწვევით 21 იანვარს კალკუტაში ჩავიდა საბჭოთა ფეხბურთელების ჯგუფი, რომელიც ინდოეთში გამართავს რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრებს. საბჭოთა სპორტსმენების ჯგუფის ხელმძღვანელმა მოშკარკინმა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის სახელით ფედერაციას გადასცა მოწვევა 1955 წლის ზაფხულში სსრ კავშირში ინდოეთის ფეხბურთელთა კოლექტივის ჩამოსვლის შესახებ. ფედერაციის თავმჯდომარემ გუპტამ მიიღო მოწვევა.

სსრ კავშირის 1955 წლის პირველობა ფეხბურთში

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა დამტკიცა ფეხბურთში სსრ კავშირის 1955 წლის პირველობის გათამაშების დებულება „ა" კლასის გუნდებისათვის. ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 12 კოლექტივი — „დინამო" (მოსკოვი), „სპარტაკი" (მოსკოვი), „სპარტაკი" (მინსკი), „შრომითი რეზერვები" (ლენინგრადი), „დინამო" (კიევი), ცდსა (მოსკოვი), „ზენიტი" (ლენინგრადი), „დინამო" (თბილისი), „ტორპედო" (მოსკოვი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „კრილია სოვეტოვ" (კუიბიშევი), „შახტიორი" (სტალინო).

პირველობის გათამაშება მოეწყობა ორ წრედ. გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან თავის და მოწინააღმდეგის მოედნებზე. დუბლმადგენლობათა მატჩები ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პრიზის მოსაპოვებლად გაიმართება ძირითად მოთამაშეთა გუნდების შეხვედრათა წინ იმავე მოედანზე. საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე გუნდები, რომლებიც მე-11, მე-12 ადგილებს დაიკავებენ, გადაყვანილ იქნებიან „ა"-დან „ბ" კლასში.

დებულებით ძირითად მოთამაშეთა გუნდების თამაშის დროს შეიძლება მხოლოდ მეკარის შეცვლა.

სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი წრე დაიწყება 10 აპრილს და გაგრძელდება 19 ივნისამდე. პირველი წრის შეხვედრათა კალენდარი თბილისის გუნდისათვის ასეთია: 10 აპრილს — „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მინსკი), 17 აპრილს—„დინამო" (თბილისი) — „შრომითი რეზერვები" (ლენინგრადი), 24 აპრილს — „კრილია სოვეტოვ" (კუიბიშევი) — „დინამო" (თბილისი), 1 მაისს — „დინამო" (თბილისი) — ცდსა (მოსკოვი), 8 მაისს — „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი), 15 მაისს — „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი), 22 მაისს — „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი), 4 ივნისს — „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), 8 ივნისს — „შახტიორი" (სტალინო) — „დინამო" (თბილისი), 14 ივნისს — „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი), 19 ივნისს — „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი). თამაში გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე.

ირლანდიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია საქართველოში

რამდენიმე დღეს საქართველოში ტურნეზე იყო ირლანდიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია ჯონ ზოიდის მეთაურობით. დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს თბილისის ლირსშესანიშნაობანი, იყვნენ ი. ვ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 23-ე საშუალო სკოლაში, ქალაქის ბეხუთე საავადმყოფოში. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში ისინი გაეცნენ წარმოებას, მუშაობა შრომის პირობებს და მათს ყოფაცხოვრებას, საწარმოს კულტურის სახლში დაესწრნენ მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში სტუმრებმა ნახეს ოპერა „დაისი".

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში გაიმართა დასახლებობა დელეგაციის პატივსაცემად, დარბაზებს დაესწრნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ირლანდიის კულტურის მოღვაწეებმა დაათვალიერეს მცხეთის უძველესი არქიტექტურული ძეგლები. ისინი იყვნენ ავრეთვე ქალაქ სოხუმში და სოხუმის რაიონის სოფელ გუმბათის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში, დელეგაციის წევრები შეხვდნენ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. მ. ჯოჯუას.

ირლანდიის კულტურის მოღვაწეები სოხუმიდან მოსკოვს გაემგზავრნენ. (საკდესი).

სგუდენგთა საზამთრო არდადეგები

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში დაიწყო სტუდენტთა საზამთრო არდადეგები, რაც ორ კვირას გაგრძელდება.

არდადეგების დღეებში სტუდენტებისათვის მოეწყობა სამეჯლისო საღამოები, ლექციები, მოხსენებები, თვითმოქმედი ძალადვრული კოლექტივების გამოსვლები, ექსკურსიები თბილისის, გორის, რუსთავის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად, ავრეთვე კოლექტიური სვლა კინოებსა და თეატრებში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს კირ. ვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ძალადვრული თვითმოქმედი კოლექტივები — 200 სტუდენტი — არდადეგებზე დღეებში გამგზავრებიან მოსკოვში, სადაც კონცერტებს გამართავენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეცნიერების სახლში, ენერგეტიკის ინსტიტუტში და სხვ. სტუდენტები დაათვალიერებენ მოსკოვს.

თბილისის უმაღლესი სასწავლებლების 176 სტუდენტი გაეგზავრება მოსკოვში, ლენინგრადში, ლვოვში, ხარკოვში და სხვა ქალაქებში, სადაც ისინი მონაწილეობას მიიღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამართულ შეჯიბრებებში.

ათასობით სტუდენტი არდადეგების დღეებს გაატარებს ბაკურიანში, აგრეთვე რესპუბლიკის სხვადასხვა დასასვენებელ სახლში, მონაწილეობას მიიღებს ექსკურსიებში.

სოფლად დასასვენებლად წასული ასობით სტუდენტი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში წაიკითხავს ლექციებს სხვადასხვა საკითხებზე.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ანასტას ივანეს-ძე **მიქოიანის** თხოვნა სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. დმიტრი ვასილის-ძე **პავლოვი** დანიშნა სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრად.

რედაქტორი ნ. ჯაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყების ცნობა ადენაუერის გამოსვლის შესახებ

ბერლინი, 25 იანვარი. (საკდესი). ადნ-ის საagენტომ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყების ცნობა ადენაუერის სიტყვის შესახებ, რომელიც მან 22 იანვარს რადიოთი წარმოთქვა. ცნობაში ნათქვამია:

სსრ კავშირის მთავრობამ, აღნიშნა რა, რომ არის ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობანი გერმანიის გაერთიანების საკითხზე შეთანხმების მისაღწევად, თავის 15 იანვრის განცხადებაში გერმანიის საკითხზე წამოაყენა კონკრეტული წინადადება სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიზნით და განაცხადა, რომ მზად არის დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ამ საკითხებზე, თუ მოსპობილ იქნება მთავარი დაბრკოლება გერმანიის გაერთიანების გზაზე, — დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და სამხედრო დაჯგუფებებში მისი შეყვანის გეგმები.

საბჭოთა მთავრობის წინადადების თანახმად, საარჩევნო კანონმა, რომელიც უნდა შემუშავდეს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების განსახორციელებლად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საარჩევნო კანონების გათვალისწინებით, ყველა ამომრჩევლისათვის უნდა უზრუნველყოს ნების თავისუფალი გამოცხადება და ყველა დემოკრატიული პარტიისა და ორგანიზაციისათვის — აგიტაციის თავისუფლება და კანდიდატების დასახელებისა და საარჩევნო სიების თავისუფლება. საბჭოთა მთავრობას აგრეთვე შესაძლებლად მიაჩნია, თუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა დათანხმდებიან, მიღწეულ იქნას შეთანხმება სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობისადმი საერთაშორისო მეთვალყურეობის დაწესების შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 20 იანვრის სხდომაზე მოიწონა საბჭოთა მთავრობის წინადადებანი და ნათლად გამოთქვა, რომ ეთანხმება სრულიად გერმანიის არჩევნების განხორციელებისადმი საერთაშორისო მეთვალყურეობის დაწესებას.

მთელი მსოფლიო, და განსაკუთრებით გერმანელი ხალხი, მოელოდა, რომ ადენაუერი ასევე ნათლად გამოთქვამდა აზრს საბჭოთა განცხადების გამო და გამოხატავდა დასავლეთ გერმანიის მთავრობის თანხმობას ამ წინადადებებზე, რათა, ბოლოს, მიღწეული ყოფილიყო გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა.

ადენაუერის 22 იანვრის განცხადება რადიოთი გერმანელი ხალხის ამ სამართლიანი მოთხოვნის ეხებოდა. ადენაუერის საერთოდ თავის განცხადებაში კონკრეტულად არ გამოუთქვამს აზრი იმ წინადადებათა გამო, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ გააკეთა გერმანიის საკითხის სწრაფად გადაჭრის ინტერესებისათვის, არამედ ცდილობდა ფალსიფიკაციის გზით თავი აერიდებინა თავისი თვალსაზრისის გამოთქმისათვის. საბჭოთა განცხადების ტექსტის სწორნაალმდეგოდ იგი ცდილობდა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობისათვის ტყუილი ეთქვა იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ თითქოს წინადადება შეიტანა, რომ საარჩევნო კანონი, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედებს, საფუძვლად დაედოს სრულიად გერმანიის არჩევნებს.

როგორც ცნობილია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და სახალხო პალატამ არაერთგზის განაცხადეს, რომ მუდამ მზად არიან მიაღწიონ შეთანხმებას სრულიად გერმანიის არჩევნების საარჩევნო კანონის შესახებ და სურთ დაიწყონ მოლაპარაკება წინასწარ რაიმე პირობის დაუდებლად.

ადენაუერის აშკარა სიცრუე კვლავ ცხადყოფს, რომ მას არასგზით არა სურს მოეწყოს სრულიად გერმანიის არჩევნები, რადგან ეშინია, რომ გერმანელი ხალხი ამ არჩევნებში აზრს გამოთქვამს გერმანიის გათიშვის პოლიტიკის წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ, ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სასარგებლოდ.

ადენაუერს არა სურს ხელი აიღოს შეიარაღების გეგმებზე. მას სურს კვლავ იაროს ამერიკული „ძალის პოლიტიკის" გზით. ეს პოლიტიკა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდება. შეუძლებელია დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას დიდხანს დუმალონ, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია ხელს უშლის გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას და აძლიერებს ომის საფრთხეს ევროპაში. გერმანელი ხალხი არ შეანელებს თავის ღონისძიებებს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გერმანელ ხალხს მშვიდობა სურს



ოკეანესგაღმელი იმპერიალისტები ძალღონეს არ ზოგავენ იმისათვის, რომ დააჩქარონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, შეაიარაღონ რევანშისტულად განწყობილი ყოფილი ჰიტლერელი ნაძირალები და დარაზმონ ისინი საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად.

დასავლეთ გერმანიის აგრესიულ სამხედრო ბლოკში ჩაბმა და რევანშისტული ომისათვის მზადება გერმანელი ხალხის მისწრაფება როდია. გერმანელმა ხალხმა სხვა ხალხებზე უკეთ იცის, რას ნიშნავს ომი, იცის, რა დიდი უბედურება იქნებოდა ახალი ომი პირველ რიგში თვით გერმანელი ხალხისათვის.

ამიტომ დასავლეთ გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში ეწყობა მიტინგები და დემონსტრაციები მიმართული ბონის მთავრობის ვერაგული პოლიტიკისა და ვერმახტის აღორძინების წინააღმდეგ.

ამას წინათ ბრემენში გაიმართა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა დაგმეს დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინებისა და საომარი მზადების პოლიტიკა, გამოხატეს გერმანელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისაკენ, ხალხთა უშიშროების დაცვისაკენ.

სურათზე: დემონსტრაცია ბრემენის ქუჩებში.

ფოტო ცენტრალბილდისა.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ევგენი ონეგინი (დ. გამრეკელის მონაწილეობით), რუსთაველის სახელობის — ყაჩაღები, მარჯანიშვილის სახელობის — უფსკრულთან, გრიბოედოვის სახელობის — ტურბინთა დღენი, სომხური დრამის — ალისფერი ყვავილი, მუსიკალური კომედიის — სასიძოები, მოზარდ მაყურებელთა ჭართული — ეს მოხდა მოსკოვში (პრონემენტი № 47, 10 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ზოლუშკა (10 ს.), თოჯინების ქართული — ზარმაცის სიზმარი (10 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, თბილისი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — განგა. სპარტაკი, კომკავშირელი, კოლხიდა, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — ვინ არის დამნაშაე კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი — ბაიჯუ ბავრა, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის პარკი — ერთგულების გამოცდა. ისანი—შიპკის გმირები. 26 კომისრის სახელობის — სათადარიგო ბოთამაშე. დიდუბე — ნაძალადევი ქორწინება, ოფიცერთა სახლი — ვინც ბოლოს იცინის.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1).

1955 წლის 5 თებერვალს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს

ელენე ვახტანგის ასული ერაზინაკიანი

თემაზე: „Основные вопросы творчества И. С. Никитина".

1955 წლის 9 თებერვალს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად —

ფარნაოზ ანდრიას-ძე კოტეტიშვილი

თემაზე „გიორგი ლეონიძის შემოქმედება".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **ალექსი მიხეილის-ძე მამულაშვილმა**, მცხოვრებმა ენგელსის ქ. № 15, აღძრა საქმე ორჯონიკიძის ჩიხში № 4 მცხოვრებ მოქალაქე **მარგარიტა ვიქტორის** ასულ ბოკუჩავასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ნიკოლოზ გიორგის-ძე ბახუტაშვილმა**, მცხოვრებმა შორაპნის ქ. № 44, აღძრა საქმე ნავთლელის ქ. № 15 მცხოვრებ მოქალაქე **რუსუდან გიორგის** ასულ სახაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ალი აკოფის-ძე მამედოვმა**, მცხოვრებმა შავი ზღვის ქ. № 2, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ზინაიდა ანტონის** ასულ მამედოვასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

დედა **ნატაშა**, მეუღლე **ენენა**, შვილები **ნატა**, **ზეინაბ**, **ქეთო** იუწყებიან ექმ

დავით ნესტორის-ძე ჭანტურიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-I ქ. მახარაძეში. გამოსვენება ბინიდან, კიროვის ქ. № 3.

შვილი **ნიკოლოზ კორძახია** ოჯახით იუწყება

ესმა ბოჯგუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-I, სოფ. კაბანაში (ახაშის რაიონი).

შვილები **ელენე, მარიამ, გიორგი, ბიძინა** ოჯახებით იუწყებიან

ნადეჟდა დავითის ასულ **ბარათაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-I, 8 ს. გამოსვენება 27-I, 4 ს. კალანდაძის ქ. № 12.

შვილები **ნიკოლოზ, ანატოლი** ოჯახებით იუწყებიან

მარგალიტა გრიგოლის ასულ **იუშკევიჩის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-I, 8 ს. გამოსვენება 27-I, 4½ ს. ფალიაშვილის ქ. № 44/5.

ძმები **ალექსანდრე, ვასილ** და **ნიკო** ოჯახებით იუწყებიან

სოხო სიმონის-ძე გალუსტაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-I, 7 ს. გამოსვენება 27-I, 4½ ს. ჟღელაძის ქ. № 26.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ № 14 ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, 3-82-05 პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის პრესის მეშვიდეულის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43 კულტურისა და ეროვნებათა ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83 წერილების — 3-73-24 განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვებელი—3-[illegible], 65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

УЕ 00313

ჰოლოგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ № 14.